განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

განათლების სადოქტორო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

26.06.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

10.07.2020

თბილისი

2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	404987332
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლება
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	განათლების მეცნიერებების დოქტორი (0111)
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გოდერძი ბუჩაშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზაქარია ქიტიაშვილი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა კუპრაძე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის შექმნის იდეა უკავშირდება ინდივიდის თავისუფალ განვითარებასა და ადამიანის ხედვის გაფართოებას არსებული ცოდნის გაღრმავებით და განათლების მეცნიერებებში ინოვაციური მეთოდების დამკვიდრებით ან/და განათლების პოლიტიკის ინტერპრეტაციით. პროგრამა იყოფა სასწავლო და კვლევით კომპონენტებად. სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებულია შემდეგი საგნები: სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტები; სწავლების მეთოდები I და II. სწავლების მეთოდები II არის არჩევითი კურსი; სემინარი I და II, სემინარი II არის არჩევითი კურსი; ხოლო, კვლევითი კომპონენტისთვის განსაზღვრულია პროფესორის ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა I, II და III; კოლოკვიუმები I და II; სადოქტორო ნაშრომის დახვეწა და დაცვა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში განათლების 180 კრედიტიანი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 26 ივნისს. ვიზიტი წარიმართა ონლაინ რეჟიმში, მშვიდ აკადემიურ გარემოში, განხორციელდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს. Zoom ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით ინტერვიუ ჩატარდა ბიბლიოთეკის პერსონალთან, გადამოწმდა სამეცნიერო ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთ ჯგუფის შეფასებით და არსებულის წესის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა, მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა მეტწილად შესაბამისობაშია

სტანდარტებთან. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას კრიტიკული შეუსაბამობა პროგრამასა და აკრედიტაციის სტანდარტებს შორის არ ფიქსირდება.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის მიზნები და მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი განათლების მეცნიერებების კვლევებისა და განვითარების მიმართულებით.
  - რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების როგორც შინაარსობრივი, ისე ფორმალური თვალსაზრისით ახალ მარეგულირებელთან მოვიდეს შესაბამისობაში.
  - რეკომენდებულია სასწავლო კურსები გადაიხედოს პედაგოგიკის მეცნიერების თემატიკით გამდიდრების თვალსაზრისით.
  - რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის დონე B2 ზე მეტით, ამასთან, დაშვების წინაპირობად განესაზღვროს დარგში მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი / პროფესიული გამოცდილება /პუბლიკაცია.
  - რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გადახედოს პროგრამაში არსებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტის კრედიტების განაწილების სტუქტურას და მოცულობას.
  - რეკომენდებულია უნივერსიტეტმა კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან.
  - რეკომენდებულია „ნიუ-ვიჟენ“ უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებას დაემატოს, დოქტორანტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის კომპეტენციების, დისერტაციის ფორმატის და სტილის შესახებ ინფორმაცია.
  - რეკომენდებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის სპეციფიკაციაში აღინიშნოს სადისერტაციო თემატიკასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი უახლესი პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში.
  - რეკომენდებულია დაზუსტდეს და განისაზღვროს საკვალიფიკაციო ნაშრომის ოფიციალური შემფასებლების კვალიფიკაცია და სამეცნიერო-კვლევითი მიმართება დისერტანტის საკვლევ საკითხთან.
  - რეკომენდებულია წარმოდგენილი პროგრამისათვის გამოცხადებული აკადემიური კონკურსისთვის აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმების დახვეწა და განათლების მეცნიერებების დარგის სპეციფიკაციასთან მორგება.
  - პროგრამის პერსონალის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის რეკომენდებულია დარგის შესაბამის სპეციალისტებთან აფილირებული ხელშეკრულებების გაფორმება.
  - მნიშვნელოვანია მკაფიოდ გაიწეროს განათლების მეცნიერებების მიმართულებით აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რაც პერსონალის კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის განვითარების საკმაოდ რთულ მისიას მეტ-ნაკლებად მიღწევადს გახდის.
  - მნიშვნელოვანია დაწესებულებამ ბიუჯეტის დაგეგმვაში აჩვენოს სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად კომპიუტერული ტექნიკის, ინვენტარის, არსებული

ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები, რაც რეალურად ბიუჯეტის დაკორექტირების საჭიროების წინაშე დააყენებს მას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - კომპეტენციების რუკაზე სრული ინფორმაციის მონიშვის მიზით უნდა გადაიხედოს პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების შინაარსი.
  - სასურველია გაიზარდოს სადისერტაციო ნაშრომების დაცვის კომისიის მინიმალური შემადგენლობა (3 წევრი), რაც გაზრდის სადოქტორო ნაშრომის დაცვის ლეგიტიმაციას, მით უფრო, რომ დებულების მიხედვით, ორივე შემფასებელი კვლავ შეიძლება იყვნენ ამ კომისიის 2 წევრი.

  - სასურველია დისერტაციის დაცვაზე დაშვების სხვა წინაპიბირობებს ერთ-ერთ წინაპირობად განესაზღვროს პლაგიატზე შემოწმების პროცედურაც, დებულებაში ჩანაწერის დამატებით.

  - სასურველია პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში პროგრამის ხელმძღვანელებსა და ხარისხის კულტურის კომიტეტს შორის პასუხისმგებლობათა თანაბარი გადანაწილება, თანამონაწილეობისა და ჩართულობის მაღალი ხარისხი.

  - სასურველია საერთაშორისო / განათლების სფეროს წარმატებული მკვლევრების მონაწილეობით პროგრამების გარე რეფერირების პრაქტიკის დამკვიდრება და დოკუმენტირება შესაბამის რეგულაციაში.

  - **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს სადოქტორო სტიპენდიებს რაც შეიძლება ჩაითვალოს კარგ პრაქტიკად.

  - უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებს სხვადასხვა სამეცნიერო/კვლევით პროექტებში მონაწილეობას დამუშავებული ინფორმაციის მიწოდებით,რაც კარგი პრაქტიკაა.

  - უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობისთვის ფინანსური მხარდაჭერის პრაქტიკა.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები განსაზღვრავს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც უკავშირდება საჭიროებებს საგანმანათლებლო მეცნიერებების განვითარების სფეროში. პროგრამის აღწერილობაში მოცემულია პროგრამის ძირითადი მიზნები, რომლებიც ეფუძნება პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშეწყობას და ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოებას არსებული ცოდნის გაღრმავებისა და განათლების მეცნიერებებში ახალი მეთოდების დანერგვის გზით; სოციალურ საჭიროებებს მორგებული და უმეტესად, ინტერდისციპლინური კვლევის ხელშეწყობას. კურსდამთავრებულებში ლიდერობის უნარის განვითარებას და მათ მომზადებას აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობისთვის. პროგრამა ითვალისწინებს უნივერსიტეტის მიერ გაზიარებული ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს, როგორებიცაა თანამშრომლობა, კვლევაზე კონცენტრაცია, შემოქმედებითობა პრობლემის გადაჭრისას, მრავალფეროვნება, ეფექტიანობა, თანასწორობა, მიუკერძოებლობა, ეთიკური ლიდერობა, თავისუფლება, ინოვაცია, ინტეგრაცია, პატიოსნება, სამართლიანობა, ღიაობა, პროფესიონალიზმი, საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულება, უსაფრთხოება, სოციალური ჩართულობა და ა.შ. ასევე მოიცავს საზოგადოების საჭიროებებზე მორგებულ კვლევას, რომელიც ხორციელდება შერჩეული კოჰორტების მიერ, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი თემებით: პერსონალიზებული განათლება, დიგიტალიზაცია, სამედიცინო და იურიდიული განათლება და სხვა. კვლევისა და სწავლებისთვის საჭირო კომპეტენციათა განვითარების ხელშეწყობა. პროგრამის მიზნები ბუნდოვანია და სჭირდება მეტი გააზრება, რადგან მკაფიოდ არ ჩანს, თუ როგორ უკავშირდება პროგრამის მიზნები განათლების მეცნიერებების კვლევებსა და განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.newvision.ge
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის მიზნებს და გამოიკვეთოს კავშირი განათლების მეცნიერებების კვლევებსა და განვითარების მიმართულებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგებია შემდეგნაირად ჩამოყალიბებული:

ზოგადი სწავლის შედეგები:

უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის დემონსტრირება, რაც არსებული ცოდნის ინოვაციური მეთოდების გამოყენებით გაფართოების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);

• გააანალიზოს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეები და მიდგომები;

•მიიღოს ეფექტური, მონაცემებზე დამყარებული დაგაწყვეტილებები პრობლემის გადაჭრისათვის; დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს კვლევა, აგრეთვე დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩინოს ინოვაციური კვლევის შედეგები;

• განავითაროს ახალი იდეები და მზაობა ახალ ღირებ¿ულებათა დამკვიდრების გზების კვლევისათვის. წვლილი შეიტანოს ინოვაციური მეთოდების მეშვეობით დამკვიდრებული ფასეულობების გადამოწმებაში, ამასთან, დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები

ცოდნა და გაცნობიერება

დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის დემონსტრირება ახალი, საერთაშორისო დონეზე დანერგილი საგანმანათლებლო რეგულაციების, საგანმანათლებლო პრაქტიკისა და მეცნიერული მიდგომების კონტექსტში, რაც სადოქტორო ნაშრომის მეშვეობით არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე; განათლების როლის გააზრება საზოგადოების ფორმირებაში და მისი განვითარება ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გუნდის მიერ გაზიარებული ღირებულებებსა და დამოკიდებულებების განვითარებით;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება დარგის სპეციფიური მეთოდოლოგიის გამოყენებით; ზოგ შემთხვევაში, ახლებური კვლევის და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც განათლების შესაბამის დარგში ან ინტერდისციპლინურ დარგში ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;

დასკვნის უნარი

განათლების რეგულაციებში, პრაქტიკასა და მეცნიერულ მიდგომებში არსებული ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რომლებიც ხელს უწყობენ ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარებას; საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრისათვის ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი;

კომუნიკაციის უნარი

ახალი ცოდნისა და მიდგომების დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, განსაკუთრებით სადოქტორო ნაშრომის ჭრილში; ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა; ეფექტური კომუნიკაციისა და ლიდერობის დემონსტრირება ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებაში საზოგადოების ინტერესებზე ორიენტირებული და ღირებულებებზე დაფუძნებული ცვლილებების ფორმირებისთვის.

სწავლის უნარი

განათლების დარგში და ინტერდისციპლინურ დარგში უახლესი მიღწევებიდან წარმოქმნილი ახალი იდეებისა ან პროცესების მუდმივი გაცნობა;

ღირებულებები

განათლებისადმი პერსონალიზებული (თითოეული ინდივიდის მიმართ) მიდგომის გამოყენება და განვითარება და აღფრთოვანება 5 მრავალფეროვნებით. ღირებულებათა

გავრცელების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავებაში წვლილის შეტანა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

საგანმანათლებლო პროგრამა ახალია და წარმოდგენილია ახალი სწავლის სფეროების კლასიფიკატორის საკვალიფიკაციო კოდით (0111), ხოლო პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია 2010 წლის 10 დეკემბრის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #120/ნ ბრძანების მიხედვით, რაც სწავლის შედეგების გააზრებას და მათ გაზომვადობის დადგენას ართულებს, ამასთან პროგრამის შედეგებში, კერძოდ, ცოდნის უნარის გამოყენებასა და სწავლის უნარის კომპონენტებში ტერმინ ინტერდისციპლინური დარგის გამოყენება ბუნდოვანია; მით უფრო სწავლის სფეროების კლასიფიკატორში განათლების მეცნიერებები არ მოიაზრებს ინტერდისციპლინურ სფეროს. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ფიქრობდა განათლების მეცნიერებებში ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელებას.ექსპერტთა მოსაზრებით, პედაგოგიკის მეცნიერებისთვის დამახასიათებელი საგანთა შორის კავშირები, თუმცა ეს არ ნიშნავს, ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელებას ამ შედეგზე გასვლას უზრუნველყოფს პედაგოგიკის მეცნიერების შინაარსის შემცველი სასწავლო კურსები, რომლებიც კოორდინირებული იქნება მომიჯნავე დისციპლინებთან, ამ კუთხით განსაზღვრულია სასწავლო კურსი "სწავლების მეთოდები I", რომელიც კურიკულუმის განვითარების სწავლებასთან ერთად მოიცავს პედაგოგიკის მეცნიერების თემატიკასაც,თუმცა შინაარსობრივად საჭიროებს პედაგოგიკის მიმართულებით მეცნიერული ცოდნით გაძლიერებას, მით უფრო თუ მხედველობაში მივიღებთ პროგრამაზე დაშვების წინაპირობას.
განათლების სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი წარმოდგენილია პროგრამის მიზნების - სწავლის შედეგების და კურუკულუმის რუკებში. წარმოდგენილ პროგრამის სწავლის შედეგებში განსაზღვრულია თუ რომელი სწავლის შედეგები უწყობს ხელს პროგრამის მიზნების მიღწევას, რაც შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. სწავლის შედეგების მიღწევისთვის გამოყენებულია სამი დონე - 1 - გაცნობა, 2 - გაღრმავება და 3 - განმტკიცება. პროგრამის სწავლის შედეგის შეფასება დაგეგმილია, როგორც პირდაპირი შეფასების მეთოდით - დისერტაციის შეფასებით, ასევე არაპირდიაპირი მეთოდით- გამოკითხვის პრინციპით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების როგორც შინაარსობრივი, ისე ფორმალური თვალსაზრისით ახალ მარეგულირებელთან (საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფეხურის დონის აღმწერთან) მოვიდეს შესაბამისობაში.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსები გადაიხედოს განათლების მეცნიერების თემატიკით გამდიდრების თვალსაზრისით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		☑		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია:

- განათლების, ჰუმანიტარიის, სოციალური მეცნიერებების, ბიოსამედიცინო მეცნიერებების, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების, სამართლის მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან ნებისმერი სხვა სფერო, რომელიც დაკავშირებულია კოჰორტის ინტერდისციპლინურ კვლევასთან;
- ინგლისურ ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა;
- კანდიდატმა უნდა მოამზადოს კვლევის იდეის მოკლე აღწერა;

განათლების მეცნიერებებში კვლევის განხორციელების მაღალ დონეზე შესრულებისთვის კანდიდატს უნდა ჰქონდეს სფეროში მინიმუმ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან პროფესიული გამოცდილება განათლების სფეროში ან პუბლიკაცია, ამასთან, მაღალი ხარისხის აკადემიური ნაშრომის გაფორმებისთვის და ინგლისურ ენაზე სწავლის დაძლევისთვის კანდიდატს ასევე უნდა მოეთხოვებოდეს უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე მეტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის დონე B2 ზე მეტით.
- რეკომენდებულია პროგრამას დაშვების წინაპირობად განესაზღვროს სფეროში მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი / პროფესიული გამოცდილება /პუბლიკაცია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს. 30 ECTS კრედიტი გამოყოფილია სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტებისთვის; 30 კრედიტი ეძღვნება სწავლების მეთოდებს I და II. სწავლების მეთოდები II არის არჩევითი კურსი; 30 კრედიტი ეთმობა სემინარს I და II, სემინარი II არის არჩევითი კურსი; 45 კრედიტი ეძღვნება პროფესორის ხელმძღვანელობით განხორციელებულ კვლევებს I, II და III; 30 კრედიტი ეძღვნება I და II კოლოკვიუმებს; ხოლო დანარჩენი 30 კრედიტი გამოიყოფა სადოქტორო ნაშრომის დახვეწისა და დაცვისთვის. სადოქტორო პროგრამაში კვლევითი საშუალებების გაცნობა ხდება პირველ სემესტრში კონკრეტული სასწავლო კურსის მეშვეობით (სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტები). ძირითადი გამოყენებული მეთოდია „სწავლა კეთებით“, რადგან სტუდენტს მოეთხოვება წარადგინოს კომპონენტები, რომლებიც დაკავშირებულია მის დისერტაციასთან. მომდევნო სემესტრიდან სტუდენტებს შეუძლიათ არჩევანი გააკეთონ საკუთარი პროფილის თემის სხვადასხვა სქემას შორის: შეასრულონ სწავლების ძირითადი კომპონენტები (სწავლების მეთოდები I ან I სემინარი) ან დაიწყონ პროფესორის ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა. სემინარისგან განსხვავებით, როგორც სასწავლო კომპონენტი, რომელიც არ არის დაკავშირებული სადოქტორო დისერტაციასთან, კოლოკვიუმი არის სადოქტორო დისერტაციის კომპონენტი და ფართოდ წარმოადგენს დისერტაციის ნაწილს. თავის მხრივ, პროფესორის ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა განსხვავდება კოლოკვიუმისგან ხელმძღვანელობის ფართო მასშტაბით, რომელიც

უპირისპირდება დამოუკიდებელ სამუშაოზე დაფუძნებულ კოლოკვიუმს. სწავლების მეთოდები II და სემინარი II არჩევითი სასწავლო კურსებია, რაც სტუდენტს საკუთარი პროფილის შემდგომი ფორმირების შესაძლებლობას აძლევს. მაგალითად, როდესაც სტუდენტი სწავლებისადმი უფრო მეტ სპეციფიკურ ინტერესს გამოხატავს, ვიდრე დამატებით კვლევის უნარის გაფართოებისადმი, მას შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს სწავლების მეთოდები II, ხოლო საპირისპირო შემთხვევაში სემინარი II.

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მიხედვით სადოქტორო საფეხურზე გათვალისწინებულია პროგრამის ხანგძლივობაა არანაკლებ 3 სასწავლო წელი და მოიცავს არაუმეტეს 60 ECTS სასწავლო კომპონენტს (ნაცვლად 180 ECTS კრედიტისა). ხოლო რაც შეეხება კვლევით კომპონენტს, დატვირთვა და პროგრამის დასრულებისთვის განკუთვნილი საშუალო დრო უნდა გაკონტროლდეს. დაწესებულებას შეუძლია, რომ შიდა რეგულაციით დამატებით განსაზღვროს, სტუდენტის მიერ პროგრამის დასრულებისათვის (სასწავლო, კვლევითი კომპონენტი) დამატებითი სემესტრის/სემესტრები.

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტით 30 ECTS კრედიტი განსაზღვრულია სასწავლო კურსის „სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტებისთვის“, რომელიც, ექსპერტთა მოსაზრებით, საკმაოდ მოცულობითია ერთი სასწავლო კურსის/კომპონენტის ფარგლებში, და შესაძლებელია, დაწერებულებამ მეორე მხრიდან შეხედოს ამ საკითხს და მიიჩნიოს მიზანშეწონილად კურსის მოცულობის გადახედვა (შემცირება/ან კურსის გაყოფა). ვინაიდან, თუ სტუდენტი სწავლის რომელიღაც ეტაპზე შეფერხდა კურსის სწავლების დროს, მას თავიდან მოუწევს ამ კურსის შესწავლის დაწყება, რომლის მოცულობა საშუალოდ 1 სემესტრს უტოლდება. რაც დოქტორანტისათვის მოუქნელი დატვირთვა იქნება მისი, როგორც დაკავებული ადამიანისათვის. მით უფრო, ხშირ შემთხვევაში დოქტორანტთა უმეტესი ნაწილი დასაქმებულია და შეზღუდული დროის გამო უჭირთ პარალელურ რეჟიმში ისწავლონ და დაძლიონ სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, აქედან გამომდინარე იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი რომელიმე დავალებას ვერ დაძლევს აღნიშნულ სასწავლო კურსის ფარგლებში იგი დაკარგავს 30 ECTS კრედიტს და შესაბამისად გადახდილ თანხასაც, რაც შეიძლება გახდეს სტუდენტის დემოტივაციის საფუძველი იმისათვის, რომ მან სწავლა გააგრძელოს.

ამასთან, ზემოაღნიშნული სტრუქტურის მიხედვით, დოქტორანტი რომელიც აირჩევს სწავლის მეთოდებს I და II და ასევე გამოხატავს ინტერესს სემინარების მიმართ, ან პირიქით დოქტორანტი ირჩევს სემინარებს I და II, ასევე გამოხატავს ინტერესს სწავლის მეთოდების მიმართ, იგი ვერ ჩაეტევა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ 60 ECTS კრედიტში, ვინაიდან, პროგრამაში არ არის გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის ისეთი

გადანაწილება, რაც სტუდენტს არ შეზღუდავს არჩევანის გაკეთებაში, ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების მიხედვით კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად. კვლევითი კომპონენტის მიღწევა არ გამოიხატება კრედიტებსა და კვლევითი კომპონენტის ეტაპების შეფასებებში. კვლევით კომპონენტზე მუშაობა სტუდენტს ეთვლება დასრულებულად, როდესაც იგი გაივლის შესაბამის ეტაპებს, დაასრულებს დისერტაციაზე მუშაობას და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დროში, დაიცავს დისერტაციას. უნივერსიტეტმა კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან.აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სტრუქტურა, კრედიტებისა და კვლევითი კომპონენტის ნაწილში მოითხოვს გადახედვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა; ○ პროგრამის სასწავლო გეგმა; ○ თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გადახედოს პროგრამაში არსებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტის კრედიტების განაწილების სტუქტურას. ○ რეკომენდებულია უნივერსიტეტმა კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან. ○ რეკომენდებულია სასწავლო კურსები გადაიხედოს განათლების მეცნიერების თემატიკით გამდიდრების თვალსაზრისით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილია სწავლის შედეგები რაც სადოქტორო პროგრამისა და საფეხურის შესაბამისია, თუმცა სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის არსებული კრედიტების მოცულობის საჭიროება არ არის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ "სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტებისთვის" კურსის შინაარსი ითვალისწინებს ცოდნა და გაცნობიერების სწავლის შედეგს, თუმცა არც სასწავლო კურსში და არც კომპეტენციების რუკაზე მონიშნული არ არის.

კურსებში გამოყენებული ლიტერატურა თანამედროვეა და უზრუნველყოფს სტუდენტებს გააცნოს სფეროში მიმდინარე თანამედროვე მიღწევები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

- რეკომედნებულია სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობა გადაიხედოს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია კომპეტენციების რუკაზე სრული ინფორმაციის მონიშვის მიზით გადაიხედოს პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების შინაარსი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიურ განვითარებას სხვადასხვა გზით. პროგრამაში დაგეგმილია დოქტორანტისთვის იმ ცოდნის, უნარების და დამოკიდებულებების გადაცემა რომლებიც საჭიროა კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებისთვის, სამეცნიერო სტატიის დასაწერად და კვლევის შედეგების პროფესიული და არა პროფესიული საზოგადოებისთვის გასაცნობად.

ვინაიდან პროგრამა ახალია, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სხვა სადოქტორო პროგრამების სტუდენტებს. ინტერვიუს დროს სხვა სადოქტორო პროგრამის სტუდნტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ხელს უწყობს სამეცნიერო/კვლევითი გრანტების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში და ასევე ხაზი გაესვა უნივერსიტეტის მხრიდან სწავლის დაფინანსების .

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტური კონფერენციები, სასწავლო ვიზიტები;

○ ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებს სხვადასხვა სამეცნიერო/კვლევით პროექტებში მონაწილეობას დამუშავებული ინფორმაციის მიწოდებით, რაც კარგი პრაქტიკაა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული კურსის სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება შინაარსსა და სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ძირითადი სწავლების ფილოსოფია არის „სწავლა კეთებით“, ამ მიზნით, კურსების სასწავლო პროგრამა მოიცავს

ლექციების, დისკუსია/დისკუსია ჯგუფებში, პრეზენტაცია, ჯგუფური სწავლა,კონსულტაციები, პროფესორის ასისტენტობა, რაც ხელს უწყობს ცოდნისა და უნარების განვითარებას სწავლის შედეგების შესაბამისად.

სადოქტორო პროგრამა სრულდება დისერტაციით, რომელიც უზრუნველყოფს სადოქტორო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს გავეცანით სხვა სადოქტორო პროგრამების დისერტაციებს. დისერტაციის დაცვა რეგულირდება „ნიუ-ვიჟენ" უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით, რომელიც მოიცავს ზოგად დებულებებს, სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილებას, დოქტორანტურაში ჩარიცხვას, საგანმანათლებლო პროგრამასა და საქმისწარომოებას, დისერტაციის დაცვას, შეფასებას, დისერტაციის გამოქვეყნებასა და საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებას. აღნიშნული დებულება არ არეგულირებს დოქტორანტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის კომპეტენციებს, მასში არ არის განსაზღვრული დისერტაციის ფორმატი და რომელიც აისახება დაცულ დისერტაციებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა;
- კურსების სილაბუსები;
- სწავლებისა და სწავლის მეთოდები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- **რეკომენდებულია** ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებას, ან შესაბამის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტს დაემატოს, დოქტორანტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის კომპეტენციების, დისერტაციის ფორმატის და სტილის შესახებ ინფორმაცია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე სასწავლო კომპონენტში ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებისა და უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. სასწავლო კომპონენტით განსაზღვრულ თითოეულ სილაბუსში გაწერილია შეფასების ფორმები - შუალედური და დასკვნითი შეფასების მნიშვნელობით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (მაქს. 100 ქულა). შეფასების მეთოდები მოიცავს აქტიური მონაწილეობას, სტატიის მომიხილვას, ესეს, პრეზენტაციას, პროექტს,შემაჯამებელ ნაშრომს და ა.შ.

რაც შეეხება სადოქტორო დისერტაციის შეფასებას, იგი ფასდება სადისერტაციო საბჭოს მიერ დანიშნული ორი შემფასებლის მიერ, რომელთაგან თითოეულის შეფასება უნდა იყოს მაქსიმალური (60) ქულიდან 50% -ზე მეტი. როდესაც შემფასებელთა შეფასებები არსებითად განსხვავებულია (არსებობს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შეფასებები ან ორი პოზიტიური შეფასების შემთხვევაში, შეფასებებს შორის განსხვავება 15 ქულაზე მეტია), ინიშნება მესამე შემფასებელი. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტს დაუბრუნდება დისერტაცია შესწორების მიზნით, მას აქვს ერთწლიანი ვადა მის შესასწორებლად. სადოქტორო დისერტაციის დაცვა ფასდება ცალკე სადოქტორო დისერტაციის შეფასებისგან. შეფასება უნდა იყოს 40 ქულიდან 50% -ზე მეტი. სადოქტორო დისერტაცია დაცულად მიიჩნევა, როდესაც საბოლოო შეფასებაა: 91-100 ქულა - შესანიშნავი (summa cum laude); 81-90 ქულა - ძალიან კარგი (magna cum laude); 71-80 ქულა - კარგი (cum laude); 61-70 ქულა - დამაკმაყოფილებელი (bene); ან 51-60 ქულა - საკმარისი (rite). როდესაც სადოქტორო დისერტაცია შეფასებულია როგორც "არასაკმარისი" (41-50 ქულა), დისერტაცია შეიძლება განმეორებით იქნას წარდგენილი ან/და დაცული მომდევნო ერთი წლის განმავლობაში.

დოქტორანტის განცხადება განმეორებით დაცვასთან დაკავშირებით წარდგენილი უნდა იქნეს სადისერტაციო საბჭოში. შეფასების სისტემა სამართლიანი და გამჭვირვალეა, რადგან ის წინასწარ არის ცნობილი დოქტორანტებისთვის, ასევე, მათ აქვთ შესაძლებლობა გადააბარონ ფინალურები განსაზღვრულ ვადაში.

კვლევით კომპონენტის ნაწილში (კოლოკვიუმი I და II, ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა I,II,III და სადოქტორო ნაშრომის დახვეწა და დაცვა) ECTS კრედიტებთან ერთად წარმოდგენილია 100-ბალიანი შეფასების სკალა, გამომდინარე იქიდან, რომ ზემოჩამოთვლილი კომპონენტები დისერტაციის ნაწილის წარმოადგენს, შეფასების ეს ფორმატი (ქულობრივი შეფასება) შეუსაბამოა მოქმედ კანონმდებლობასთან, ვინაიდან კანონმდებლობით განსაზღვრულია: „დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები“
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დებულება საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების ○ შესახებ დანართებით: http://newvision.ge/sites/default/files/regulation.pdf ○ სადისერტაციო საბჭოს დებულება ○ სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში ○ სილაბუსები
რეკომენდაციები: ○ უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს კვლევითი კომპონენტის კრედიტებად განაწილებისა და შეფასების ფორმატს და მოიყვანოს იგი მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			☑	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში დანერგილია სტუდენტთა მხარდაჭერის მრავალფეროვანი სერვისები. სტუდენტები ინფორმაციას იღებენ პირადი მეილის, უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, პერსონალური საუნივერსიტეტო ელექტრონული ბაზის, ასევე, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალისთან, პირადი კონსულტაციების საშუალებით. სტუდენტთა ინფორმირების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტში არსებობს სერვისის განვითარების ოფისი. სხვა პროგრამის დოქტორანტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ პროგრამაზე ჩაბარებისას იმართება სპეციალური შეხვედრა, სადაც მათ აწვდიან ინფორმაციას პროგრამის ფარგლებში დასაფარი სასწავლო მოდულისა და კვლევითი კომპონენტის შესახებ, ამის შემდეგ კი მათ მუდმივი კონტაქტი აქვთ სამეცნიერო ხელმძღვანელებთან. უნივერსიტეტში არსებობს მაღალაკადემიური მოსწრების მქონე დოქტორანტებისთვის სტიპენდიის დანიშვნის პრაქტიკა.

სწავლის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის უნივერსიტეტი იყენებს სპეციალურ ონლაინ ბაზას online.newvision.ge, სადაც ყველა სტუდენტს აქვს ინდივიდუალური გვერდი და შესაბამისად, წვდომა მათ მიერ არჩეული კურსების სილაბუსებზე, შეფასებებზე და სხვა.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახური, რომელიც მზადაა, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს დახმარება გაუწიოს დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებში. დოქტორანტებმა აღნიშნეს, რომ მეილზე მუდმივად მოსდით ინფორმაცია ახალი ვაკანსიების შესახებ, მათი პროფესიის შესაბამისად.

უნივერსიტეტის ხედვით, მენტალური ჯანმრთელობა საკმაოდ მნიშვნელოვანია, ამიტომ მათ აქვთ ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრი, რომლით სარგებლობაც ყველა სტუდენტისთვის შესაძლებელია. უნივერსიტეტის ბაზაზე, ასევე, მოქმედებს სამედიცინო დახმარების ცენტრიც.

სტუდენტებს სრული წვდომა აქვთ უნივერსიტეტში არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე. უნივერსიტეტს შეძენილი აქვს სხვადასხვა სამეცნიერო ბაზები, რომელიც დოქტორანტებს კვლევაში დაეხმარება. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის პერსონალი მუდმივ რეჟიმში მზადაა უზრუნველყოს სტუდენტთა წვდომა უნივერსიტეტის როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ მასალებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში, სადისერტაციო ნაშრომის მომზადების და დაცვის წესს არეგულირებს „ა(ა)იპ „ნიუ-ვიჟენ“ – უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება“. სამცნიერო ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები რეგულირდება დოკუმენტით: „Statement 2020 regarding educational program head(s) and doctoral student supervisor(s)“.

განათლების სადოქტორო პროგრამა ახალია და სადოქტორო კანდიდატები ჯერ არ ჰყავს. პროგრამის მიღების პირობების შესაბამისად, დოქტორანტურაზე ჩარიცხვის კანდიდატმა უნდა წარადგინოს საკვლევი თემის მონახაზი, შესაბამისად აირჩიოს ხელმძღვანელი და მიღების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ბაზაზე განაგრძოს კვლევა. პროგრამის აკადემიური პერსონალის ნაწილს აქვს დარგში კვლევითი გამოცდილება და შეეძლება გაუწიოს კონსულტირება, თუმცა როგორც უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული მასალიდან ჩანს, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის უდიდეს ნაწილს არ უფიქსირდება განათლების სფეროსთან დაკავშირებული სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (პუბლიკაციები, კონფერენციები თუ სხვა აქტივობები). გარდა ამისა, უნივერსიტეტს ზუსტად არ აქვს განსაზღვრული სამეცნიერო ხელმძღვანელისადმი წაყენებული მოთხოვნები. მნიშვნელოვანია შესაბამის დოკუმენტში აისახოს, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქნდეს სფეროში კვლევის შესაბამისი გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის სპეციფიკაციაში აღინიშნოს სადისერტაციო თემატიკასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი უახლესი პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს პლაგიატზე შემოწმების პროცედურაც, დებულებაში ჩანაწერის დამატებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		☑		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე

დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „განათლების მეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამის განხორციელების პროცესში, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ჩართულია 13 აკადემიური პერსონალი. აქედან 11 აფილირებული (5 პროფესორი და 6 ასოცირებული პროფესორი) და ორი მოწვეული პროფესორი. თვითშეფასების ანგარიშით არ დადგინდა შესაბამისი სახელობითი სია, ხოლო პროგრამის ქართველ ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს დაფიქსირდა განსხვავებული მაჩვენებელი, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ეთხოვა დაწესებულებას გადმოეგზავნა თვითშეფასებაში ადამიანურ რესურსთან დაკავშირებული ჩანაწერის დაზუსტებული სახელობითი სია. დოკუმენტების შედარებისას კვლავ დარჩა კითხვის ნიშნები, რადგან დაზუსტებულ დოკუმენტში ფიქსირდებოდა მხოლოდ 4 პროფესორი (აქედან ორი - სამართლისა და მედიცინის მიმართულების პროფესორები არიან და მათი პირადი საქმეების შესწავლა გვიჩვენებს, რომ არ უკავშირდებიან კვლევითი-სამეცნიერო მუშაობით განათლების მეცნიერებების დარგს.) და 3 ასოცირებული პროფესორი. დანარჩენი წევრები ან კონკურსის რეჟიმში არიან, ან მოწვეულის სტატუსი აქვთ და არ გააჩნიათ აფილირების ფორმატი უნივერსიტეტთან მიმართებით. სადოქტორო პროგრამას ჰყავს ერთდროულად ორი უცხოელი და ორი ქართველი ხელმძღვანელი - ჯამში ოთხი. უცხოელ ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ მიერ პროგრამაზე მუშაობისას შეტანილი წვლილი განისაზღვრებოდა პროგრამის შინაარსსა და სტრუქტურასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციებით (აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ დადარდა წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურას ამავე უნივერსიტეტის სამართლისა და მედიცინის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურები და თანხვედრა აბსოლუტურია. ასე განსაჯეთ, სწავლის შედეგების ზოგადკომპეტენციური ჩარჩო-რუკაშიც კი აბსოლუტურად მსგავსი უნარებია მონიშნული. შესაბამისად, ჩნდება მართებულად შეკითხვა, ერთ-ერთი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სტრუქტურასთან დაკავშირებული აკადემიური ინტერვენციების და რჩევების ასახვის არეალის შესახებ), ხოლო ქართველ ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათ შორის კოორდინაციისა და პროგრამის შექმნისა და განხორციელების შესახებ მოსაზრებების კორელაციის დაბალი ხარისხი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ხელმძღვანელებიდან ორს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ უფიქსირდება განათლების მეცნიერებების დარგის შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი მუშაობა (ერთ-ერთ უცხოელ ხელმძღვანელს

ბოლო 20 წელიწადში მხოლოდ ერთი ნაშრომი უფიქსირდება), ხოლო დანარჩენ შემთხვევაში საერთაშორისო რეცენზირებად იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში მხოლოდ მეორე უცხოელი ხელმძღვანელის შრომებს ვხვდებით. ვფიქრობთ, ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ წარმოდგენილი ოთხი ხელმძღვანელიდან აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს მხოლოდ ერთი მათგანი უკავშირდება აფილირებით ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს, დანარჩენ ხელმძღვანელთაგან ზოგი გამოცხადებულ აკადემიურ კონკურსში აპირებს მონაწილეობის მიღებას, ხოლო ერთ-ერთი ხელმძღვანელი ამჟამად ერთ-ერთ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აფილირებული ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას იკავებს.

თვითშეფასების ანგარიშისა და მოწოდებული დაზუსტებული სიით გათვალისწინებული პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების ძირითადი მიმართულებები რიგ შემთხვევებში არ მიემართება განათლების მეცნიერებების დარგს (ვხვდებით ქართულისა და გერმანული ენებისა თუ ამერიკანისტიკის სადოქტორო კვალიფიკაციის მქონე პერსონალს), დანარჩენ შემთხვევებში კი მხოლოდ კერძო დიდაქტიკაში (ინგლისური ენის სწავლების მიმართულებით) იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის საშუალებას.

რაც შეეხება სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების, ზაფხულისა და ზამთრის სკოლების ორგანიზებისა და ჩატარების გამოცდილებას, ამ შემთხვევაში აღნიშნული მახასიათებლები წარმოდგენილია, ნაწილი მიემართება განათლების მეცნიერებების დარგს, ნაწილი კი არა - წარმოადგენს სხვადასხვა აკადემიურ პროფილს. შესაბამისად, პროგრამის აკადემიური მდგრადობის საკითხი ამ ეტაპისთვის უკეთესის სურვილს ტოვებს.

პროგრამა ითვალისწინებს 10 დოქტორანტის ჩარიცხვას, შესაბამისად, პროგრამაში ჩართული პროფესორების რაოდენობა (ხაზს ვუსვამთ რაოდენობას, პროგრამის აკად. პერსონალის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების გათვალისწინებით / პირობით) საკმარისია სემინარების, კოლოკვიუმების ჩასატარებლად, სადისერტაციო საბჭოების ორგანიზებისთვის, სტუდენტების ხელმძღვანელობისთვის, სტუდენტებისთვის კონსულტაციების გასაწევად აკადემიურ საკითხებში.

აკადემიური პერსონალის შერჩევის, აკადემიური დატვირთვისა და საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელობის საკითხების ფორმალური მახასიათებლები და ჩარჩო-დოკუმენტები უნივერსიტეტს სრულფასოვნად უდასტურდება. უნივერსიტეტი არეგულირებს და განსაზღვრავს თავისი აკადემიური პერსონალის დატვირთვას (სასწავლო საათებს, აგრეთვე კვლევით საქმიანობას) აკადემიური საბჭოს 2013 წლის 26 სექტემბრის N3 ოქმით დამტკიცებული`ნიუ ვიჟენ“ - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულების შესაბამისად, ასევე, პოლიტიკისა და

დიპლომატიის სკოლის 2015 წლის 08 აპრილის №1 სხდომის ოქმი ა(ა)იპ - „ნიუ ვიჟენ“ - უნივერსიტეტის პოლიტიკისა და დიპლომატიის სკოლის დატვირთვის ჩარჩო სქემის დამტკიცების შესახებ. ეს უკანასკნელი ადგენს აკადემიური თანამდებობის პირის დატვირთვის (სემესტრში 880, წელიწადში 1760 საათი) სხვადასხვა ვალდებულებაზე გადანაწილების შესაძლებლობებს. ასევე გაწერილია უნივერსიტეტის 2020 წლის განაცხადი საგანმანათლებლო პროგრამისა და დოქტორანტის ხელმძღვანელობის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია პროგრამისა და საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელის ვალდებულებები, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ვერ ვნახეთ რაიმე ჩანაწერი, რომელიც განსაზღვრავდა დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისადმი წაყენებული მოთხოვნებს (სადისერტაციო საბჭოს დებულებაში იკითხება მხოლოდ ამგვარი ფორმულირება - „დოქტორანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის პროფესორი, თანახელმძღვანელი – ასევე სხვა უნივერსიტეტის პროფესორი.“). ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია შესაბამის დოკუმენტებში დაფიქსირდეს, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი უახლესი პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში. მსგავსად ხელმძღვანელისა, არ არის გაწერილი ოფიციალური შემფასებლის საკვალიფიკაციო მიმართება სადოქტორო ნაშრომთან - ვხვდებით ფრაზას - „შემფასებელი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, ნებისმიერი უნივერსიტეტის პროფესორი.“ არ ფიქსირდება მითითება საკვალიფიკაციო ნაშრომთან მისი სამეცნიერო-კვლევითი მიმართებისა.

პროგრამას ჰყავს 5 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რაც, ვფიქრობთ, სავსებით საკმარისია პროგრამის მომსახურებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- აკადემიური საბჭოს 2013 წლის 26 სექტემბრის N3 ოქმით დამტკიცებული`ნიუ ვიჟენ“ - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება
- პოლიტიკისა და დიპლომატიის სკოლის 2015 წლის 08 აპრილის №1 სხდომის ოქმი ა(ა)იპ - „ნიუ ვიჟენ“ - უნივერსიტეტის პოლიტიკისა და დიპლომატიის სკოლის დატვირთვის ჩარჩო სქემის დამტკიცების შესახებ
- სადისერტაციო საბჭოს დებულება
- აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები და დიპლომები.

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია წარმოდგენილი პროგრამისათვის გამოცხადებული აკადემიური კონკურსისთვის აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმების დახვეწა და განათლების მეცნიერებების სფეროს სპეციფიკაციასთან მორგება.
- პროგრამის აკადემიური პერსონალის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის განათლების სფეროს შესაბამის პირებთან აფილირების ხელშეკრულებების გაფორმება.
- დაზუსტდეს და განისაზღვროს საკვალიფიკაციო ნაშრომის ოფიციალური შემფასებლების კვალიფიკაცია და სამეცნიერო-კვლევითი მიმართება ნაშრომთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გაიზარდოს სადისერტაციო ნაშრომების დაცვის კომისიის მინიმალური შემადგენლობა (3 წევრი), რაც გაზრდის სადოქტორო ნაშრომის დაცვის ლეგიტიმაციას, მით უფრო, რომ დებულების მიხედვით, ორივე შემფასებელი კვლავ შეიძლება იყვნენ ამ კომისიის 2 წევრი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს აქვს კარიერული განვითარების ინდივიდუალური მოდელი, რომელიც იყენებს პერსონალური განვითარების გეგმას (PDP), რათა განისაზღვროს და განავითაროს ის უნარები, რომლებიც თითოეულ თანამშრომელს სჭირდება თვითრეალიზაციისთვის. PDP საშუალებას აძლევს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს გაანალიზონ საკუთარი უნარები და განახორციელონ გარკვეული ცვლილებები პროფესიული განვითარების დაგეგმვაში. უნივერსიტეტში მოქმედებს ადამიანური რესურსების კომიტეტი, რომელიც აფასებს ნახევარწლიურ პროგრესს, საჭიროებისამებრ შეაქვს გეგმაში ცვლილებები, პერსონალს სთავაზობს ინდივიდუალურ დახმარებას. ასევე, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 26 სექტემბრის N3 ოქმით დამტკიცებული „ნიუ ვიჟენ“ - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულების მიხედვით, ხორციელდება აკადემიური პერსონალის ატესტაცია საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულებით გათვალისწინებული დატვირთვის სქემის ანალიზის საფუძველზე, რომელიც სრულად ასახავს ინფორმაციას აკადემიური პერსონალის საქმიანობასა და განხორციელებული მოქმედებების უნივერსიტეტთან მიკუთვნების თაობაზე. მისი ანალიზი საშუალებას აძლევს საატესტაციო კომისიას, დაადგინოს კონკრეტული პირის საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩართულობის როგორც სურვილი, ისე მიზანშეწონილობა. აღნიშნული ჩანაწერი რეგულაციის წესზე მიგვითითებს, თუმცა რადგანაც პროგრამა ჯერ არ არსებობს, მისი აკად. პერსონალის განვითარების საჭიროებების შეფასება მომავლის საქმედ შეიძლება იქნას დასახული.აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკად. პერსონალის პროფესიული განვითარების საკითხი საკმაოდ რთულ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს დაწესებულებისათვის, რადგან იგი სხვა საჭიროებებთან ერთად იმავდროულად გულისხმობს ა) განსხვავებული კვალიფიკაციის პირობებში განათლების სფეროს მიმართულებით კვლევითი საქმიანობის განხორციელების პირობის წაყენებას პერსონალისათვის; ბ) განათლების სფეროში ვიწრო კვლევითი ინტერესების (საკმაოდ ბევრი ენის სწავლების დიდაქტიკის სპეციალისტია) პირობებში კვლევითი და სამეცნიერო ინტერესების განვითარების ხელშეწყობას.

აკადემიური საქმიანობის შეფასების მიზნით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კითხვარი სტუდენტებისთვის, რომლითაც ფასდება თითოეული ლექტორი. შეფასების შედეგები ეცნობება პედაგოგებს განსახილველად. შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის განვითარების მიზნებისათვის. განსაკუთრებულად აღსანიშნავია პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული აკადემიური პერსონალის განვითარებაზე გასაწევი ხარჯი, რაც 3 წლის განმავლობაში 30 000 ლარის ოდენობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური საბჭოს 2013 წლის 26 სექტემბრის N3 ოქმით დამტკიცებული`ნიუ ვიჟენ“ - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება
- მოდულის შეფასების ფორმა
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუების შედეგები.
- პროგრამის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია მკაფიოდ გაიწეროს განათლების მეცნიერებების მიმართულებით აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების კონკრეტული სამოქმედო

გეგმა, რაც პერსონალის კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის განვითარების საკმაოდ რთულ მისიას მეტ-ნაკლებად მიღწევადს გახდის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობისთვის ფინანსური მხარდაჭერის პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არსებული მდგომარეობის გამო, ვიზიტი განხორციელდა საკომუნიკაციო საშუალებით - Zoom პროგრამის საშუალებით, რაც, შესაბამისად, არ იძლეოდა საშუალებას, გავცნობოდით ადგილზე ინფრასტრუქტურასა და ტექნიკურ აღჭურვილობას. თუმცა პროგრამისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკურ ბაზასთან დაკავშრებული საჭიროებები დაიფარა ინტერვიურების ფარგლებში და დაზუსტდა, რომ უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი პროგრამის განხორციელებისათვის. საბიბლიოთეკო რესურსებთან დაკავშირებით, გასაუბრება სტანდარტის ამ კომპონენტის ფარგლებში წარიმართა ბიბლიოთეკის კოორდინატორებთან. წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო საბიბლიოთეკო რესურსით, რაც ცალსახად პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს.

ბიბლიოთეკა ინტეგრირებულია საერთაშორისო ბიბლიოთეკის ქსელში და აქვს წვდომა სპეციალიზებულ ელექტრონულ რესურსებზე, როგორებიცაა:
EbscoHost, HeinOnline, ELSEVIER სისტემის ბაზები: Science Direct, SciVal, finder Scopus, Mendeley
აკადემიური და მოწვეული პერსონალის განცხადებით, ბიბლიოთეკა ყოველთვის მზადაა შეიძინოს სილაბუსით განსაზღვრული და ნებისმიერი სხვა საჭირო ლიტერატურა. გადამოწმდა პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, რითაც დადასტურდა ლიტერატურის ხელმისაწვდომობა. ბიბლიოთეკებში მოქმედებს ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით სარგებლობის წესები და ინსტრუქციები. ბიბლიოთეკის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების შესაძლებლობების შესახებ სტუდენტებს მიეწოდებათ პირად სასწავლო გვერდზე შეტყობინებების სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- ბიბლიოთეკის გვერდი https://newvision.ge/ge/content/newvision-biblioteka
- ელექტრონული რესურსების საძიებელი https://www.newvision.ge/ge/resources ბიბლიოთეკარებთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

აღწერა და შეფასება

მოპოვებული ინფორმაციის, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამის განხორციელება ფინანსურად მდგრადია. აღსანიშნავია, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია დოქტორანტურის სტუდენტებისთვის გამოყოფილია თანხები, რათა მათ შეძლონ კონფერენციებში მონაწილეობის მიღება ასევე, გამოყოფილია თანხები შრომის ანაზღაურების, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისა და პროგრამის სრულყოფისთვის, სტუდენტთა დაზღვევის სერვისისათვის. თუმცა, სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად კომპიუტერული ტექნიკის, ინვენტარის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები არ აღირიცხება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები ადმინისტრაციულ პერსონალთან
- თვითშეფასების ანგარიში
- განათლების სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია დაწესებულებამ ბიუჯეტის დაგეგმვაში აჩვენოს სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად კომპიუტერული ტექნიკის, ინვენტარის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები, რაც რეალურად ბიუჯეტის დაკორექტირების საჭიროების წინაშე დააყენებს მას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს სადოქტორო სტიპენდიებს რაც შეიძლება ჩაითვალოს კარგ პრაქტიკად.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		☑		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის კომიტეტი (QCC), რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიური საბჭო (საინტერესოა აღინიშნოს, რომ როგორც ხარისხის კულტურის კომიტეტს, ისე აკადემიურ საბჭოს ერთი და იგივე ხელმძღვანელი ჰყავს). ეს არის მთავარი ორგანო, რომელიც

პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემაზე. სხვა საკითხებთან ერთად, იგი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხსაც. ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დოკუმენტები ხელმისაწვდომია https://www.newvision.ge/ge/content/xarisxis-uzrunvelkopa

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფუნქციონირებს როგორც უნივერსიტეტის, ისე სკოლის დონეზე. კერძოდ, სკოლის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის არსებობის უზრუნველსაყოფად, კომიტეტის საქმიანობაში ჩართულია თითოეული სკოლის აკადემიური ან ადმინისტრაციული წარმომადგენელი, რომლებიც ანგარიშვალდებული არიან კომიტეტის ხელმძღვანელის წინაშე, თუმცა ინტერვიუირების დროს განათლების მიმართულებით ასეთი კადრის განსაზღვრა ვერ მოხერხდა. თვითშეფასების ანგარიშში მითითებულ თვითშეფასების ჯგუფის შემადგენლობაში არ ფიქსირდებოდა არც ერთი სტუდენტი, რაც თავდაპირველად მნიშვნელოვან ხარვეზად ჩავთვალეთ, თუმცა ინტერვიუებისას განიმარტა, რომ სტუდენტებთან უკუკავშირი გასაუბრების ფორმატით ჰქონდა უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის კომიტეტის ხელმძღვანელს, რაც სტუდენტებმაც დაადასტურეს.

ხარისხის კულტურის კომიტეტის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე აუცილებელია აღინიშნოს, რომ ის წარმოადგენდა ერთადერთ პერსონალს, რომელსაც ღრმად ჰქონდა გააზრებული პროგრამის კონცეფცია, რასაც ვერ ვიტყვით თავად პროგრამის ხელმძღვანელებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგების მიხედვით ინტერვიუერებისას აშკარად გამოჩნდა პროგრამის ხელმძღვანელებისა თუ აკადემიური პერსონალის მეტი მჭიდრო კოორდინაციის საჭიროება კომიტეტთან, - ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელთაგან მხოლოდ ერთს ჰქონდა ექსპერტების მიერ პროგრამის შესახებ დასმულ შეკითხვებზე ამომწურავი და კომპეტენტური პასუხის გაცემის შესაძლებლობა.

პროგრამა მოგეხსენებათ ახალია, რაც ამ ეტაპისთვის პროგრამასთან დაკავშირებულ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ჩატარებულ კვლევებზე/შედეგებზე ხელი არ მიგვიწვდა და ზოგადად, მექანიზმების არსებობის დონეზე შევაფასეთ. სწავლა-სწავლების პროცესის მუდმივი დახვეწის მიზნით, უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას შემუშავებული ფორმის მიხედვით, რომელიც მონაცემების აღრიცხვისა და ინტერპრეტაციის თვალსაზრისით ნამდვილად მისაღებად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტუდენტთა გამოკითხვის დოკუმენტი 2018-19 სასწავლო წელს მიეკუთვნება.

ასევე წარმოდგენილია ბაზრის კვლევის ანგარიში, რომელიც მხოლოდ 3 ადამიანის შთაბეჭდილებების ინტერპრეტაციაა და, რა თქმა უნდა, მოკლებულია რეპრეზენტატულობას, თუმცა ამ ტიპის პრაქტიკის არსებობა ნამდვილად დადებითად უნდა ჩაითვალოს. ასევე წარმოდგენილია პერსონალის კმაყოფილების კვლევა. შესაბამისად, შეფასების მექანიზმების გამოყენებით, უსდ სისტემატურად ახორციელებს პროგრამის შეფასებას და შემუშავებული რეკომენდაციებით მიმართავს პროგრამის ხელმძღვანელობას, რომლის საფუძველზეც ხდება პროგრამის განვითარება. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იყო პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენდა აღწერით ნარატივს, თუმცა უნივერსიტეტის მიერ არაა წარმოდგენილია ოქმები, რომლებიც დაადასტურებს როგორც თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის, ისე აკადემიური პერსონალის პროგრამის შემუშავებაში ჩართულობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები - https://www.newvision.ge/ge/content/xarisxis-uzrunvelkopa
- ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულება - დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 აპრილის N08 ოქმით
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში პროგრამის ხელმძღვანელებსა და ხარისხის კულტურის კომიტეტს შორის პასუხისმგებლობათა თანაბარი გადანაწილება, თანამონაწილეობისა და ჩართულობის მაღალი ხარისხი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამას არ უდასტურდება გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურა და როგორც ხარისხის კულტურის კომიტეტის ხელმძღვანელი აღნიშნავს, უსდ-ს აქვს საკმაოდ კარგი გამოცდილება თავისი საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა გარე შეფასების გზით და სწორედ აკრედიტაცია არის ერთ-ერთი მთავარი პროცესი ამ თვალსაზრისით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სასურველი იქნებოდა განათლების სფეროს შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების, საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით პროგრამის ექსპერტიზის - გარე რეფერირების პრაქტიკის დამადასტურებელი აღწერილობები დადასტურებულიყო პროგრამის თვითშეფასებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია საერთაშორისო / განათლების სფეროს წარმატებული მკვლევრების მონაწილეობით პროგრამების გარე რეფერირების პრაქტიკის დამკვიდრება და დოკუმენტირება შესაბამის რეგულაციაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის და შეფასების ყველაზე აქტიური ფორმაა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და ადმინისტრაციული პერსონალის მოსაზრებების მოკრება და შეჯერება. უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს აკადემიური საბჭოს 2013 წლის 26 სექტემბრის N3 ოქმით დამტკიცებული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მუშაობის შეფასებას, რაც უნივერსიტეტში რეგულარულად ხორციელდება. პროგრამის მუდმივად გადახედვა და მონიტორინგი განხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელების და აკადემიური პერსონალის მიერ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესაბამისად და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმით შეგროვებული მონაცემების საფუძველზე (სტუდენტების პროგრესია, დამთავრების მაჩვენებელი, სტუდენტების კმაყოფილება, კურსის შეფასება და ა.შ.).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულება - დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 აპრილის N08 ოქმით
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების კითხვარები და გამოკითხვის შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ააიპ-ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
განათლების მეცნიერებები

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		☑		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			☑	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		☑		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		☑		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

გოდერძი ბუჩაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ზაქარია ქიტიაშვილი

თეონა კუპრაძე